ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის

აქტი N 2

დ.ჩოხატაური 22.05.2019 წელი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30/03/2018 წლის N30-ე განკარგულების („ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში არსებული მდგომარეობისა და ავტორიზაციისათვის მოსამზადებლად გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28/09/2018 წლის N 72-ე განკარგულების (სკოლამდელი აღზრიდისა და განათლების ჯგუფებში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების რაოდენობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ") შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25/03/2019 წლის N15 განკარგულების შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის მიერ მაისის თვეში შესწავლილ იქნა ზემოთ აღნიშნული საკითხი, რის შედეგადაც აღმოჩნდა შემდეგი:

-ა(ა)ი.პ „ მომავალში" სულ ფუნქციონირებს 20 სტრუქტურული ერთეული, აქედან 2 ბაგა-ბაღი 18 საბავშვო ბაღი. მ/წელს გაიხსნა ზომლეთის საბავშვო ბაღი, ბუკისციხეში აშენდა ახალი საბავშვო ბაღი, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ბასილეთის ბაღს, ა(ა)ი.პ „მომავალში" სულ არის 680 აღსაზრდელი, სტრუქტურული ერთეულის მიხედვით მონაცემები (დანართი N 1 );

-ა(ა)ი პ „მომავალში" ბავშვთა გონებრივ,ფიზიკურ და ესთეტიკურ აღზრდას ემსახურება 214 თანამშრომელი, აქედან 16 არის დასაქმებული ადმინისტრაციაში;

-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30/03/2018 წლის N30-ე განკარგულების შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია ბაღების და ბაგა-ბაღების რეაბილიტაციის საპროექტო-დოკუმენაციის ერთ-ერთ სატენდერო პირობად განსაზღვრავს ,,ტექნიკური რეგლამენტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შეახებ" 2017 წლის 27 ოქტომბრის N 485 მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებას. ამავე დადგენილების შესაბამისად გამოცხადდა ტენდერი და ბაღებში და ბაგა-ბაღებში შესრულდა 231696 ლარის (დანართი N 1 );

-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ა(ა)ი.პ ,,მომავლის" სტრატეგიულ ერთეულებში - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30/03/2018 წლის N 30 განკარგულების შესაბამისად, ნაწილობრივ შესრულდა ბაღებში და ბაგა-ბაღებში შენობა-ნაგებობის და ინფრასტრუქტურული ობიექტების რეაბილიტაცია;

- კომისიის მიერ დამატებით კვლავ იქნა შესწავლილი სტრუქტურულ ერთეულში არსებული მდგომარეობა. (დანართი N 1 );

-მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30/03/2018 წლის N 30-ე განკარგულების შესაბამისად მუნიციპალურ განვითარების ფონდის წინაშე დასმულია საჭამიასერში და იანეულში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობის საკითხი;

-მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ნაწილობრივაა შესრულებული გაზიფიკაციის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები. (დანართი N 1 ) ;

-აქვე უნდა აღინიშნოს რომ, სერიოზულ შესწავალს მოითხოვს სტრუქტურულ ერთეულებში გაზის დამონტაჟებასთან დაკავშირებით უსაფრთხოების საკითხების შესწავლა ამ მხრივ ძალიან ცუდი მდგომარეობაა N 1 ბაგა-ბაღში;

-მუნიციპალიტეტის მერიისა და ა(ა)ი.პ ,,მომავლის" ადმინისტრაციის მიერ სერიოზული სამუშაოები იქნა ჩატარებული ბაღებში და ბაგა-ბაღებში სახანძრო უსაფრთხოების კუთხით, ყველა სტრუქტურულ ერთეულებში მოწყობილია სახანძრო სტენდები, ცეცხლმაქრი და სხვა საჭირო ინვენტარით;

-დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ არ არის შემოწმებული ა(ა).იპ ,,მომავლის" საქმიანობა;

-ა(ა).იპ ,,მომავლის" მიერ ნაწილობრივ იქნა წესრიგში მოყვანილი ბაღებში და საბავშვო ბაღებში ბავშვთა ჯგუფის დაკომპლექტება;

-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28/09/2018 წლის N 72-ე განკარგულების (სკოლამდელი აღზრიდისა და განათლების ჯგუფებში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების რაოდენობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ") შესაბამისად, ბუკნარის საბავშვო ბაღში გაიხსნა ახალი სააღმზრდელო ჯგუფი, ამავე განკარგულებიდან გამომდინარე მ/წლის სექტემბრის თვიდან ზოტისა და ხიდისთავის საბავშვო ბაღებში გაიხსნა ახალი სააღმზრდელო ჯგუფი;

-ნორმაზე ბევრად მეტი ბავშვია სააღმზრდელო ჯგუფებში N1 ბაგა-ბაღში და N1 ბაღში. ამ პრობლემის მოგვარების გზად მიგვაჩნია N2 ბაგა ბაღში სარემონტო სამუშაოების ჩატარება და იქ დამატებითი სააღმზრდელო ჯგუფების გახსნა;

-ა(ა)ი.პ ,,მომავლის" ხელმძღვანელობის მიერ გარკვეული მუშაობა იქნა ჩატარებული. კანონმდებლობიდან გამომდინარე სტრუქტრულ ერთეულებში თანამშრომელთა საშტატო ნუსხის წესრიგში მოსაყვანად, წელს სტრუქტურულ ერთეულებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 28/09/2018 წლის N 72-ე დადგენილებიდან გამომდინარე უნდა დაემატოს 8 საშტატო ერთეული;

-მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბაღებში და ბაგა-ბაღებში საგანმანათლებლო რესურსით( სათამაშოები, თვალსაჩინოებები ,წიგნები და სხვა) უზრუნველყოფა;

-ა(ა).ი.პ ,,მომავლის" მიერ საქართველოს კანონმდებლობის და ა(ა).ი.პ ,,მომავლის" წესდების შესაბამისად ხდება ბაღებში და ბაგა-ბაღებში აღსაზრდელების მიღება. დღეის მდგომარეობით არ არის სრულყოფილად დაკომპლექტებული სტრუქტურულ ერთეულებში დამტკიცებული საშტატო ნუსხის მიხედვით შტატები, კერძოდ საჭამიასერი და ბუკისციხის ბაღებში დასანიშნია მედპერსონალი, გარდა ერთი ბაღისა მეტყველების დარღვევთა კორექციის სამედიცინო მომსახურება არ ხორციელდება არცერთ საბავშვო ბაღში ანალოგიური მდგომარეობაა ბაღებში და ბაგა ბაღებში ფსიქოლოგიის მომსახურების საკითხთან დაკავშირებით;

-რაც შეეხება კვებას, ბაგა-ბაღებში და ბაღში კალორიების მიხედვით კეთდება მენიუ ყოველკვირეული ცვალებადობით;

- ა(ა)ი.პ ,,მომავლის" ადმინისტრაცია ყოველდღიურად ღებულობს მონაცემებს სტრუქტურულ ერთეულებში აღსაზრდელების გამოცხადების შესახებ, საშუალო გამოცხადება დღეის მდგომარეობით არის 550;

-საქართველოს კანონის ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ შესაბამისად სტრუქტურულ ერთეულებში არ არის შექმნილი საკონსულტაციო საბჭოები.

კომისიის წევრები:

1. ვლადიმერ სიხარულიძე
2. მაია გიორგაძე
3. ალექსანდრე ყაჭეიშვილი
4. თემურ ხუხუნაიშვილი
5. ნატო ჩანტლაძე
6. დავით შარაშიძე
7. ირაკლი ახობაძე
8. მაია კუტუბიძე
9. ლია ჩიგოგიძე

დ ა ნ ა რ თ ი **#1**

| N | საბავშვო ბაღის დასახელება | აღსაზრდელთა რაოდენობა 2018 | აღსაზრდელთა რაოდენობა 2019 | ფაქტიურად დადის | შენობა-ნაგებობის მდგომარეობა დღეისათვის | პირველ რიგში განსახორციელებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები | შესრულებული სამუშაოები | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | I საბავშვო ბაღი | 135 | 135 | 114 | **ცხელი წყალი არ** მიეწოდება მეორე სართულს.მოსაწესრიგებელია წყლის ცენტრალური **სისტემა.გაფუჭებულია** ცენტრალური გათბობის ნახევარი მხარე.შესაძენია გაზქურა **და დიდი სიმძლავრის** გამწოვი.უნიტაზი **ირეცხება ცხელი** წყლით.გასარემონტებელია საპირფარეშო პირველ სართულზე.სახურავი სასწრაფოდ შესაღებია. | სამზარეულოში დასამონტაჟებელია **რეცხვადი კედლები;** მოსაწესრიგებელია გარე კანალიზაცია,საჭიროა შენობის ჟოლოფები-დანესტილია 1-სართულზე საპირფარეშო.. | მოეწყო სამზარეულოში და საწყობში რეცხვადი ჭერი და კედლები.მეტალოპლასტმასის კარი ფრაგმული გაღებით.წყლის ნიჟარა **2** კომპლექტი.დამონტაჟდა წყლის ბაკი,მოეწყო დამცავი ბადეები კარებზე და ფანჯრებზე.მოეწყო იატაკი **მეტლახის ფილებით 100** მ.კვ.მოეწყო სახურავი მოთუთიებული თუნუქის შიფერის საფარით და სხვა სამუშაოები, სულ **ღირებულება 9364 ლარის** | მოსაწყობია ეზოში გვერდითი ღობე |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | I ბაგა-ბაღი | 125 | 135 | 109 | სასწრაფოდ გასატანია გათბობის სისტემა გარეთ.დასამონტაჟებელ ია წყის რეზერვუარი მატორით. | ჯგუფებში გასაფართოვებელია ჭურჭლის სარეცხი ბლოკები | მოეწყო სამზარეულოში და საწყობში რეცხვადი ჭერი და კედლები.წყლის ნიჟარა 2 კომპლექტი.დამონტაჟდა წყლის ბაკი,მოეწყო დამცავი ბადეები კარებზე და გამათბობელი,შეკეთდა წყალმომარაგება,დამონტაჟდა სანათი ბრები(20 ერთეული) სულ ღირებულება 13032 ლარის.გაზის მონტაჟი სულ-14824 ლარის | ჭურჭელი ირეცხება ცივი წყლით |
| 3 | 2 ბაგა-ბაღი | 60 | 49 | 42 | გასაახლებელია ცენტრალური გათბობა,შესაძენია გათბობის ქვაბი.ეზოში გასაკეთებელია დრენაჟი.სასურველია დაირგოს ევკალიპტები.შესაძენია სარეცხი მანქანა,გაზქურა,ტელევი ზორი.ეზოს სათამაშოები. | | მოეწყო სამზარეულოში და საწყობში რეცხვადი ჭერი და კედლები.მეტალოპლასტმასის კარი.წყლის ნიჟარა 4 კომპლექტი.დამონტაჟდა წყლის ბაკი,მოეწყო დამცავი ბადეები კარებზე და ფანჯრებზე.დამონტაჟდა წყლის გამათბობელი,შეკეთდა წყალმომარაგება.დამონტაჟდა სანათი ბრები (15 ერთეული) სულ ღირებულება 12062 ლარი | ჭურჭელი ირეცხება ცივი წყლით |
| 4 | ბუკისციხის საბავშვო ბაღი | 18 | 20 | 17 | სათავსო არ აქვს.გასაკეთებელიაახალ ი ღობე. | | წყლის ნიჟარა 2 კომპლექტი.დამონტაჟდა წყლის ბაკი,მოეწყო დამცავი ბადეები კარებზე და ფანჯრებზე.დამონტაჟდა წყლის გამათბობელი,დეზობარიერი. სულ ღირებულება 5275 ლარი | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | იანეულის საბავშვო ბაღი | 25 | 20 | 19 | არადამაკმაყოფილებელი | | მოეწყო იატაკი ხის და მეტლახის ფილებით,დაიგო ლინოლიუმი,საპირფარეშოში რკინა-ბეტონის იატაკი.დამონტაჟდა რეცხვადი კედლები და ჭერი სამზარეულოსა და საწყობში,დამონტაჟდა წყლის ნიჟარა 2 კომპლექტი,წყლის გამთბობელი,სამზარეულოში აირ-გამწოვი,დამცავი ბადეები,იატაკის ქვეშ მონოლითური საყრდენი ბოძები,მოეწყო უნიტაზი კომპლექტით. სულ ღირებულება 9091 ლარი.გაზის სარემონტო სამუშაოები 9853 ლარი. | არ ექვემდებარება რეაბილიტაციას |
| 6 | ჯვარცხმის საბავშვო ბაღი | 23 | 24 | 17 | დამაკმაყოფილებელი | საძინებელში იატაკი შესაცვლელია,კედლები ნესტიანია,შენობას ესაჭიროება გარედან დამცავი;შესაცვლელია ფანჯრები. | მოეწყო იატაკი ხის,ლამინატის და მეტლახის ფილებით,დამონტაჟდა რეცხვადი კედლები და ჭერი სამზარეულოსა და საწყობში,დამონტაჟდა წყლის ნიჟარა 2 კომპლექტი,წყლის გამთბობელი,სანათი ბრა 10 ერთეული,წყლის ავზი,მეტალოპლასტმასის კარის და ფანჯრის ბლოკი,შეკეთდა წყლის სისტემა,სულ | ესაჭიროება კოსმეტიკური რემონტი.საჭიროა თეთრეულის კარადა.თეთრეული და ზაფხულის ადეალები.ტევადი მაცივარი.საერთოა ბიჭების და გოგონების ტუალეტი |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | ხიდისთავის საბავშვო ბაღი | 25 | 24 | 21 | დამაკმაყოფილებელი | ახალაშენებული. მეორე სართულზე სარემონტოა იატაკი.განათების კლაფონებია შესაძენი | მოეწყო რეცხვადი ჭერი და კედლები სამზარეულოსა და საწყობში,დამონტაჟდა წყლის ნიჟარა 2 კომპლექტი,წყლის ავზი,დამცავი ბადეები ფანჯრებსა და კარებზე,სანათი ბრა 20 ერთეული .სულ ღირებულება 6830 ლარი. | შენობაში სეინიშნება ნესტის მძაფრი სუნი |
| 8 | ქვენობნის საბავშვო ბაღი | 19 | 21 | 19 | დამაკმაყოფილებელი | დანესტილია კედლები; არ მუშაობს გამწოვი.არის კანალიზაციის პრობლემა,დგას მძაფრი სუნი.შენობის უკანა კედელს ესაჭიროება ე.წ.შილობკა.შესაძენია გაზქურა,ტევადი მაცივარი. | იატაკი მოეწყო მეტლახის ფილებით,დამონტაჟდა რეცხვადი კედლები და ჭერი სამზარეულოსა და საწყობში,დამონტაჟდა წყლის ნიჟარა 2 კომპლექტი,წყლის გამთბობელი,მეტალოპლასტმასის კარის და ფანჯრის ბლოკი,დამცავი ბადეები. სულ ღირებულება 5936 ლარი. | ეზოში მოსაწყობია სანიაღვრე არხი.შესაძენია ინვენტარი |
| 9 | ბუკნარის საბავშვო ბაღი | 33 | 39 | 34 | დამაკმაყოფილებელი.საჭიროა დამატებითი ჯგუფის გახსნა | გასაკეთებელია თანამშრომლების ტუალეტი.საერთოა გოგონების და ბიჭების ტუალეტი.შესაძენია ტევადი მაცივარი,ტელევიზორი | იატაკი მოეწყო მეტლახის ფილებით,ლამინატით,ხის მასალით,შეიცვალა ჭერი,შეიღება იატაკი და ჭერი,დამონტაჟდა რეცხვადი კედლები და ჭერი სამზარეულოსა და საწყობში,დამონტაჟდა წყლის ნიჟარა 2 კომპლექტი,წყლის გამთბობელი,წყლის ავზი,მეტალოპლასტმასის კარის და ფანჯრის ბლოკი,დამცავი ბადეები.დეზობარიერი. სულ ღირებულება 41250 ლარი. ელექტრო მომარაგების | შესაძენია საწოლები,ბავშვების მაგიდები და სკამები,თეთრეული,ჭურჭელი.ეზოში ჭას ესაჭიროება დამცავი თავი.შესაძენია თანსაცმლის და თეთრეულის კარადები.პიანინო. |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | ბასილეთის საბავშვო ბაღი | | 16 | 14 | დამაკმაყოფილებელია | მოსაწყობია სახურავის კარნიზი და ჟოლოფები; დანესტილია კედლები.გასაკეთებელია კანალიზაცია.მოსაწესრიგებელია ეზოს უკანა მხარე. | ,დამონტაჟდა რეცხვადი კედლები და ჭერი სამზარეულოსა და საწყობში,დამონტაჟდა წყლის ნიჟარა 3 კომპლექტი,წყლის გამთბობელი,წყლის ავზი,საკვამური,სანათი ბრა 15 ერთეული,დამცავი ბადეები. სულ ღირებულება 8145 ლარი. | შესაძენია ტელევიზორი და თეთრეულის კარადა |
| 11 | გოგოლესუბნის საბავშვო ბაღი | 25 | 19 | 15 | არასაკმარისი ფართი | ჯგუფის ოთახი სარემონტოა.გასაფართოვებელია საძინებელი | მოეწყო სამზარეულოში და საწყობში რეცხვადი ჭერი და კედლები.წყლის ნიჟარა 2 კომპლექტი.დამონტმოეწყო დამცავი ბადეები კარებზე და ფანჯრებზე.შეკეთდა წყალმომარაგება. სულ ღირებულე 3098 ლარის. გაზის მონტაჟის სამუშაოები 3862 ლარის | სათამაშოები,საერთო ტუალეტია გოგონების და ბიჭების,სარგებლობენ ჭის წყლით.წყლის ავზი დამონტჟებულია სხვენზე და გადმოსატანია გარეთ..მოსაწყობია გარე კანალიზაციის სეპტიკი. |
| 12 | შუა ამაღლების საბავშვო ბაღი | 22 | 20 | 19 | დამაკმაყოფილებელი | გასარემონტებელია შენობა მთლიანად; | მოეწყო სამზარეულოში და საწყობში რეცხვადი ჭერი და კედლები.წყლის ნიჟარა 2 კომპლექტი.დამონტაჟდა წყლის გამათბობელი, დამცავი ბადეები კარებზე და ფანჯრებზე,შეკეთდა წყალმომარაგება და კანალიზაცია,მოეწყო გამწმენდი ჭა,გზის სავალ ნაწილზე ქვიშა-ხრეშოვანი საფარი. სულ ღირებულება 11665 ლარის. | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13 | სამების საბავშვო ბაღი | 16 | 20 | 20 | დამაკმაყოფილებელი | მოწესრიგებელია .არ აქვთ შეშის დასაწყობი ადგილი.საძინებელში და ყოველდღიურ ოთახში შესაძენია დამცავი ბადეები,ნესტის გამო უნდა იყოს ღია ფანჯრები.პატარებისთვის მოეწყოს აბაზანა. | მოეწყო სამზარეულოსა და საწყობში რეცხვადი ჭერი და კედლები,წყლის ავზი.დამონტაჟდა სანათი ბრები (6 ერთეული),წყლის ნიჟარა 1 კომპლექტი,შეკეთდა წყალმომარაგება,კანალიზაცია, მოეწყო სალექარი,ფანჯრებზე და კარებზე დამცავი ბადეები. სულ ღირებულება 16937 ლარი. | ბიჭების და გოგონების ტუალეტი საერთოა.შესაძენია კიბე. |
| 14 | ამაღლების საბავშვო ბაღი | 16 | 14 | 13 | დამაკმაყოფილებელი | მომსახურე პერსონალს არ აქვს ტუალეტი.სასმელი წყალი უარგისია და შეაქვთ. | მოეწყო სამზარეულოსა და საწყობში რეცხვადი ჭერი და კედლები,მეტალოპლასტმასის კარები,საპირფარეშოში აიკრა კერამიკული ფილები,მოეწყო წყლის ნიჟარა 2 კომპლექტი.დამონტაჟდა წყლის გამათბობელი.შეკეთდა წყალმომარაგება ,დამონტაჟდა დამცავი ბადეები. სულ ღირებულება 4815 ლარი. | კარადები არ არის |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | კოხნარის საბავშვო ბაღი | 18 | 19 | 15 | დამაკმაყოფილებელი.შე საძენია ეზოს სათამაშოები,ასაწყობი კუბები. | მოსაწყობია სახურავის კარნიზი და ჟოლოფები; დანესტილია კედლები | შეკეთდა სახურავი,მოეწყოწყალსაწრეტი ღარები,რეცხვადი კედლები სამზარეულოში და საწყობში,საწყობში ასევე დაიგო მეტლახის ფილები,შეკეთდა კანალიზაცია და წყალმომარაგება,დამონტაჟდა წყლის ნიჟარა 2 კომპლექტი,სალექარი,წყლის გამათბობელი,დამცავი ბადეები ფანჯრებსა და კარებზე..მოპირკეთდა ფასადი. სულ ღირებულება 20423 ლარი | სათავსო და საწყობი ოთახები სარემონტოა |
| | საჭამიასერის საბავშვო ბაღი | 17 | 17 | 12 | არატიპიური შენობა | | მოეწყო სამზარეულოში და საწყობში რეცხვადი ჭერი და კედლები.მოეწყო დამცავი ბადეები კარებზე და ფანჯრებზე.დამონტაჟდა წყლის ავზი,წყლის გამათბობელი,სამზარეულოში მეტალოპლასტმასის კარის ბლოკი,გასაღები ფრამუგით,შეკეთდა წყალმომარაგება და კანალიზაცია.დამონტაჟდა სალექარი, სანათი ბრა 12 ერთეული. სულ ღირებულება 13867 ლარი | ასაშენებელია ახალი ან გადასაყვანია სხვა შენობაში |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17 | ხევის საბავშვო ბაღი | 15 | 12 | 12 | დამაკმაყოფილებელი | ახალგარემონტებულია | მოეწყო სალექარი,რეცხვადი ჭერი და კედლები სამზარეულოსა და საწყობში,წყლის ნიჟარა **2** კომპლექტი,წყლის გამათბობელი,დამცავი ბადეები კარებსა და ფანჯრებზე. სულ ღირებულება **10417** ლარი. | |
| 18 | ზოტის საბავშვო ბაღი | 35 | 34 | 30 | დამაკმაყოფილებელი | | მოეწყო რეცხვადი ჭერი და კედლები სამზარეულოსა და საწყობში,წყლის ნიჟარა 2 კომპლექტი,წყლის გამათბობელი,დამცავი ბადეები კარებსა და ფანჯრებზე. სულ ღირებულება **2978**ლარი. | უნდა დაემატოს ახალი სასწავლო წლისთვის ჯგუფი.სესაძენია ინვენტარი...მაგიდები,საწოლები,სკამები,ეზოს სათამაშოები |
| 19 | ერკეთის საბავშვო ბაღი | 25 | 24 | 22 | გასაკეთებელია ზაფხულისთვის კოსმეტიკური რემონტი,არაა სათავსო ფართი.საჭიროებს შენობა გაფართოვებას. | ახალაშენებული | მოეწყო რეცხვადი ჭერი და კედლები სამზარეულოსა და საწყობში,წყლის ნიჟარა **1** კომპლექტი,წყლის გამათბობელი,დამცავი ბადეები კარებსა და ფანჯრებზე. სულ ღირებულება **5430** ლარი.გაზის მონტაჟის სამუშაოები **6100** ლარი. | მოსაწესრიგებელია შენობის სანიაღვრე არხები ხდება ამის გამო ძლიერი დანესტვა. |
| 20 | ზომლეთი | 0 | 18 | 13 | შენობის ნახევარი გადასახურია | ახალგარემონტებულია | კეთილმოსაწყობია | საწყობში არაა პროდუქტების შესანახი კარადა.არაა რეცხვადი ჭერი და კედლები.საჭიროა ტელევიზორი,პერსონალის თვის ტუალეტი |
| | | | 680 | | | | | |